[პრო]ლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კვირა, 31 მაისი 1925 წელი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ტარტაროზი

№ 10—(13) გაზ. „მუშა“-ს ორკვირეული უფასო დამატება. № 10—(13)



ყოველთვის ლამობენ ამ ვაშლის შეჭმას, მაგრამ ყოველ კბენაზე ასე სცვივათ კბილები

# ბრძანება № 4




ყველა აგენტებს
და რწმუნებულებს,
(თანამშრომლებსაც
დაწუნებულებს) —

გიძლევათ ესე
სახელმძღვანელოთ,
რომ ბრძოლა მკაცრი
არ გაანელოთ.

ჩვენ გვყავს მუდმივი
აგენტთა შტატი·
(მათი რიცხვია
ას ოცდა ათი)

მიმობნეულან
ყოველ მხარეში

+
ორი მათგანი
წევს სამარეში

ვიცით რაც ხდება
ყოველ კუთხეში.
(კანტროლს ვაკეთებთ
ყოველ ხუთ დღეში).

ვსთქვათ, რომ მოხდა
ამბავი რამე. —
(იყო დღე თეთრი
და არა ღამე)

ჩვენ კი ვგონია:
ამაზე მალე
მოვა წერილი
(ან დღეს ან ხვალე)

ყველამ გაიგო..,
— და გადის ხანი,
მაგრამ არვინ გვწერს
აგენტთაგანი.

ან თუ მივიღეთ,
— ისე ძველია,
რომ არ ღირს ვახლოთ
წერილს ხელია.

თუ გინდ ამასაც
ვანებოთ თავი;
მაგრამ გვითხარით
— რად გვინდა „შავი"

გვწერთ: „დიდ საქმეზე
მე მივიჩქარი;
გადათეთრება
ვერ მოვასწარი"

„ფანქრით ვსწერ, რადგან
არ მაქვს კალამი"
„მიიღეთ ჩემგან
წრფელი სალამი"

„ოღონდ დასტამბეთ
წერილი ერთი"...
„უკეთეს დავსწერ
თუ კი მწამს ღმერთი"

„მოკლედ ვსწერ წერილს,
არ არის გრძელი;
თვითონ გახლავარ
მასწავლებელი".

„გასაცოცხავი
აქ არის ბევრი.
გთხოვთ დამისტამბოთ.
(კავშირის წევრი)"

—

ასეთი არის
აქ უამრავი,
მათი ჩამოთვლის
არა გვაქვს თავი...

— და ჩვენც ვაგზავნით
ჩქარი მარშრუტით
ასეთ წერილებს
გოდორში ყუთით.

თქვენგან მივიღეთ
მრავალჯერ აღთქმა,
რომ... მაგრამ არ ღირს
ამაზე აქ თქმა...

ჩვენ გეუბნებით
გადაჭრით, მკაცრად:
ვისაც გჭირია
ჭკუისა აცრა —

ხელი გაუშვით
კალამს და ფანქარს,
თორემ არ გაჭმევთ
თაფლსა და შაქარს.

მხოლოდ ვისაც კა[illegible]
მკვეთრი გაქვთ ენა,
და შეგიძლიათ
გულშავის კბენა —

განაგრძეთ საქმე,
შტატში ხართ ყველა,
გექნებათ ჩვენგან
თქვენ მარად შველა.

გაშლილი არის
ჩვენი სახლკარი...
გვიყვარს ახალი
მოძმე სტუმარი...

ყველას მიიღებს
გაშლილი გული,
თუ ძღვენით მოვა
ის დატვირთული...

—

და ბოლოს ყველას
ჩვენ ვეუბნებით,
რომ გაიმსჭვალონ
შემდეგი მცნებით:

წერილში იყოს
სიცილის ქონი...
წერა — ცალგვერდზე...
შორს-შორს სტრიქონი.

მასალა იყოს
მეტად ახალი
(და ამავე დროს
სწორი, მართალი)

ფსევდონიმი და
გვარი, სახელი —
უნდა დასწეროთ
საკუთარ ხელით.

დაწერისათვის
სამი დღე კმარა,
გამოგზავნეთ
აქეთკენ ჩქარა.

ვინც შეასრულებს
ამა ბრძანებას,
მას მივსცემთ ცოლის
ჩვენ შერთვის ნებას.



სრულიად სატარტაროზოს მთავრობის
თავმჯდომარის მოადგილე: **კონ-წარი**
**ჯოჯოხეთი**
ტარტაროზის სასახლე.



# ბიჭო ანდრია

(დასასრული)

13

მიქრიან დღენი... გოჭოურაში
მზე ძველებურად ამოდის, ჩადის...
პირველ შეხედვით, ჩვენი ანდრია
კმაყოფილია თითქმის ყელამდის...
მაგრამ რაღაცა აკლია მაინც;
ქვეყანა უჩანს როგორც საკანი...
თითქოს მოაწვენ ერთმანეთს მთები,
და ეკარგება სულს გასაქანი.
შეძლებისგვარად უძღვება დუქანს;
სანუგეშოს კი ვერაფერს ხედავს...
იქვე მახლობლად კერძო ვაჭარი
კვლავინდებულად ვაჭრობს და ხვეტავს...
ფიქრობს ანდრია:—ყოველი ბრძოლა
აქ უეჭველად იქნება ფუჭი...
შესაფერისი არა გვყავს შტატი,
თან „ნაკლადნოებს“ ვერ გადავურჩით!!!

14

ერთხელ ანდრიამ უთხრა მეგობრებს:
(პარასკევ დილას, მახლობლად ბაზრის)
—მსურს გამოგიტყდეთ დღეს ერთ რამეში,
არ ღირს დამალვა იდუმალ აზრის.
ხედავთ ბაზრობას?—კერძო ვაჭრისკენ
არ ეზარებათ გლეხებს გარება,
ამ ჩვენს „ეპოს“ კი (ოი, სიბნელევ)
ერთი კაციც კი არ ეკარება..
ყრუა სოფელი... მითხარი აბა,
აქ ეს დუქანა ვის უნდა რაში?!
არა, არ ძალმიძს მეტი აქ ყოფნა,
მეხუთავს სული გოჭოურაში!..
აქ ასპარეზი ჩემთვის ვიწროა!
მინდა ხალხს მეტი დავდო ამაგი!
მსურს გადავსახლდე მალე თბილისში,
აი, იქ არის ჩემი ალაგი...
იქ შემიძლია გავშალო ფრთები...
გიტოვებთ დუქანს... თქვენ იცით აწი...
კმარა, მეყოფა, ჩვენს დაბისადმი
არც ისე ცოტა მიმიძღვის ღვაწლი!..

15

მეორე დილას ჩვენმა ანდრიამ,
(იჩქარე სანამ მთელია კოკა)
მკაცრი ბრძანებით მისცა თავის თავს
უსასწრაფესი „კამანდიროვკა“.
და ვით ყოველთვის, ამ შემთხვევაშიც,
(ეს კანონია, წესი ადათი)
არ დაიწყვიტა ავანსზე გული,
და დაიმზადა თანაც მანდატი.

## მ ა ნ დ ა ტ ი

თანახმად მისი განცხადებისა
მიეცა ესე გოჭოურას კოოპერატორს,
დაჯილდოებულს დიდის ცოდნით
და დიდს ორატორს,
რომ ვინაიდან გოჭოურას ველები, მთები
უშლიან იმას თავისუფლად გაშალოს ფრთები,
რომ დაყოლილი ბუნებიდან ცოდნა და ნიჭი
(რამიც არავის ეპარება ოდნავი იჭვი)
მეტს სარგებლობით მოახმაროს ჩვენ ტანჯულ მხარეს
ეძლევა ნება გაემგზავროს საჩქაროთ თბილისს,
თან ვშუამდგომლობთ იქაურთა წინაშე, რათა
ამ კაცის ცოდნას შესაფერი დაედვას ფასი,
რომ წვრილმანებში არ დაბანდდეს ნიჭი ხალასი.

გულის ფანცალით ასრულებას თხოვნისას ველით...

(მანდატს ხელს აწერს თვითონ გამგე საკუთარ ხელით)

სხვა რაღა უნდა ეხლა ანდრიას;
უმშვენებს ჯიბეს მანდატი გრძელი.
ცოტა სიმარჯვე და მოგვარდება
მისი სახელით საქმენი ძნელი...

ასეთ უგამგოდ დარჩენილს დუქანს!..
გზა მშვიდობისა..-. შენ დიად ხსოვნას
ვერ წაშლის ჩვენში ვერარა ძალა!—
აქ ტოლუმბაშმა გადაკრა ყანწი,
და ახმაურდა ტაშისკვრით ზალა...
ღელავს ანდრია, არ იცის რა ქნას,
ცრემლმორეული იჩეჩავს თმასა,
და ერთი სიტყვაც კი ვერ წარმოსთქვა,
ისე მიაკვდა ღვინიან თასსა...



მიდის,.. უეცრად ესმის ხმაური,
ყვირილი, სროლა, ყიჟინი ომის..
მივიდა ახლოს... წინ სამიკიტნო...
(ეს სასადილო იყო გლეხკომის).

შიგ ახალგაზრდებს მოეწყოთ ლხინი,
და ეხლა კი თავს ირთობდენ ჩხუბით...
როცა შეიჭრა შიგ ჩვენი გმირი
წაილეს ვილაც გაჩეხილ შუბლით.

16

წასვლის წინ ძველმა ამხანაგებმა
მოუწყვეს ლხინი შეუსადარი.
თითქოს ქარბუქი იყო სიტყვების,
და სუფრაზე კი ღვინის ავდარი.
მთავარ ადგილას ზის ჩვენი გმირი,
შეწითლებია ღვინისგან სახე,
და ელანდება, ვითომ, შორს სადღაც
მზადდება მისთვის მაგარი სახრე...
ხაზინის ფულით მოაწყვეს ლხინი...
(რას მოეკიდოს, არ არის ხავსიც),
და დიდის, დიდის ეკონომიით
დაჯდა სულ იგი რაღაც ოთხასი...
თითქოს სიმკრთალემ გადაკრა სახეს,
ვაი, თუ ლხინი გადიქცეს დრამათ...
ბოლოს წარმოსთქვა:—რა მენაღვლება,
მე მივალ, აგონ პასუხი ამათ...
სიმხიარულე!.. რა დროს ფიქრია...
მოედვას ლხინი ქუჩებს და ველებს!..
წინ ტოლუმბაში გრძელ ყანწით ხელში
აგრძელებს სიტყვას გაუთავებელს:
—ბიჭო ანდრია, გვშორდები... მიხვალ...
ჩვენი თვალები შენ ვერ გეშვება...
გვითხარ, უშენოთ ამიერიდან
გოჭოურელებს რა გვეშველება!..
გვჭირიხარ ასე... შენი გონება
გვშველოდა ყველგან, როგორც თილისმა,
და გვარქვი, რისთვის უნდა მოგვტაცოს
ასეთი თავი უძლებ თბილისმა?..
მიდიხარ, მაგრამ ჩვენი ფიქრები
შეუჩერებლივ მოგდევენ უკან...
ფიცს ვდებთ, შევწიროთ მთელი ძალღონე

17

დილას, როდესაც აღმოსავლეთით
წითელი ფერი მოედო ცასა,
თავის მაზნისკენ, ჩვენი ანდრია
ჩემოდნით ეტლში გაუდგა გზასა.
რკინის გზის ხაზი შორსაა მეტად.
თორმეტ საათის არის სავალი...
ვინ ჩამოთვალოს, თუ რამდენია
გორები, მთები გადასავალი.
უკვე საგრძნობლად ჩამოწვა სიცხე,
ზურგს ახურებენ სხივები მზისა;
თითქოს დაღალვაც დაეტყო ფეხებს...
ჯერ ნახევარიც არ არის გზისა.
ეკლის ჩირგვები, კლდეები, მთები,
ამწვანებული მინდვრები, ხენი...
მიდის ანდრია და მიღიღინებს,
თან მისძახიან ტყენი და ღრენი.
უკვე შვადღეა... ვაისვაგლახით
ანდრია სოფელს მიადგა პირველს,
და უცბად იქვე ორღობის თავში
წააწყდა ისეთს სურათს საკვირველს:

18

ფუტუროიან, ბებერ ბჟოლის ხეს
შემოსხდომოდენ ირგვლივ ქალები,
და თმების გლეჯით, ცრემლმორეულნი
შტოებისაკენ ექნათ თვალები.
თანაც მოსთქვამდენ რაღაცა პარკზე,
ფულზე დაკარგულს შარშანდელს აქეთ,
და ეკითხოდენ ბჟოლას:—გვითხარი,
იქნებ წრეულსაც ასეა საქმე!..
მაგრამ ხე სდუმდა... მაშინ ანდრიამ
ხმა ალიმაღლა და უთხრა ბრაზით:
— ხჰა გაიკმინდეთ, ამ ხესთან, ვიცი,
მოთქვამთ თქვენ სულ სხვა იდუმალ აზრით!..

## „ზედ-მეტი...“

თანდათან გულს ეცლება
სუსხიან ზამთრის დალი...
მწვანეთ ბიბინებს ველი,
გაფურჩქნულია ბაღი.

სმენას და თვალთახედვას
იტაცებს ყველა ფერი;
თვალებს გვჭრის ბრწყინვალებით
ათასნაირი ფერი.

ცა ლურჯია და წმინდა,
ღრუბელი არსად აზის;
გამჭვირვალეა სივრცე,
ვით ქალის კაბა გაზის.

მზე ახლოს არის ჩვენთან,
უხვად გვეთრქვევა სხივი,
გაგვითბა ძარღვში სისხლი
ზამთარში მეტად ცივი.

ვით შრომის სკოლის ეზო,
გაშლილა ჩვენი გული;
მზად არის გასცეს უხვად
მრავალი სიყვარული.

რად გვინდა პროპაგანდა,
ან ლექციები გრძელი?!
სიყვარულს დავამყარებთ,
თუა ზაფხული ცხელი.

—:—

ეს შესავალი მცირე
და ასე მიკიბული—
საჭირო იყო, მიტომ
— რომ არ აგეგდოთ გული...

თვენც ხომ ადამის ძე ხართ?!
განიცდით ასეთ წუთებს. .
ბევრი უგზავნით სატრფოს
შოკოლადების ყუთებს.



ერთ დღეს (და ეს დღეს ალბად
იყო კვიმატი მგონი)
უკარნახებდა ლიდას
საბეჭდავს მელიტონი...

ჩვენ ვიცით:—თქვენთაგანი
აქა თავისთავს ნახავს
და იტყვის გაბრაზებით:
„ნეტა, ეს რასა ჩმახავს?

„სად დ მინახა? როდის?
„ფარულად ვქენი საქმე,
„და როგორ მოხდა, ნეტა,
„რომ გამომჭამა აქ მე?!“.

— და... ო, შემინდევ ზეცავ;
გულმკერდში მოჰკრა თვალი...
მოსჩანდა ორი რამე
მწიფე ვაშლივით მრგვალი.

დაგვემუქრება კიდეც
კბილების ღრჭენით, ცოფით;
და იტყვის: „რომ შემეძლოს
მოვკლავდი ავტორს თოფით“.

—:—

ჩვენ არ გვაშინებს თქვენი
მუქარა, ბაქი-ბუქი;
გზა გახსნილი გვაქვს ყველგან,
ვერას დაგვაკლებს ლუქი—

---

ორ შაურისთვის აყრუებთ ზეცას,
და მავნე აზრებს ავრცელებთ ხალხში! —
ზარდაცემულნი დედაკაცები
წივილ-კივილით შევარდენ სახლში.
ჩვენი ანდრია, აღელვებული
ისწორებს თავზე აჩეჩილს თმასა,
და კმაყოფილი მომხდარი ამბით
თავის მიზნისკენ განაგრძობს სვლასა.

19

უკვე ბინდდება... დგება საღამო...
ესალმებიან მზის სხივებს ხენი.
მიდის ანდრია გრძელ ნაბიჯებით
თან მისძახიან ტყენი და ღრენი.
უკვე მეორეც მოსჩანს სოფელი,
მოელო ბოლო ტყეებს და ეკალს,
შედის სოფელში ჩვენი ანდრია
და წაეჩეხა ბიბლიოთეკას.
წარბებშეკრული შედის ამაყად,
ათვალიერებს მკითხველებს ყველას:
არის ხუმრობა, სტვენა, სიცილი...
რა ხდება, კაცი მიხვდება ვერას.
აქ არშიყობენ, აქ იმღერიან,
იქ დისპუტია მკაცრი და ცხარი,
იქ კი ვიღაცა შარშანდელ გაზეთს
ისე ჩაკვრია, ვით ბალახს ცხვარი.
წამსვე ანდრიას გაეხსნა შუბლი,
გადაეფინა ღიმილი სახეს,
და რიხიანად მიმართა დამსწრეთ:
—ვაშა თქვენს შრომას, ვაშა თქვენს სახელს..
სამაგალითო გაქვთ სამკითხველო,
ჯერ ამდაგვარის არ ვარ მნახველი,
გეტყობათ ბევრი დაგჭირდათ შრომა,
ამხანაგებო, მომეცით ხელი!..
დაჯდა თვითონაც და შეუერთა
თავისი ხმებიც საერთო ზღვასა;
შემდეგ ადგა და შესვენებული
მეტის ძალღონით გაუდგა გზასა.

20

უკვე შეღამდა. ღობეებიდან
შემოესიენ ძაღლები ღრენით...
მიდის ანდრია ყურს არ იბერტყავს
თან მისძახ ან ტყენი და ღრენი...
მიდის... უეცრად ესმის ხმაური,
ყვირილი, სროლა, ყიჟინი ომის...
მივიდა ახლოს... წინ სამიკიტნო. .
(ეს სასადილო იყო გლეხკომის).
შიგ ახალგაზრდებს მოეწყოთ ლხინი,
და ეხლა კი თავს ირთობდენ ჩხუბით...
როცა შეიჭრა შიგ ჩვენი გმირი
წაიღეს ვიღაც გაჩეხილ შუბლით.
დააშოშმინა ანდრიამ ყველა,
და მიიწვიეს ის ლხინშიც მყისვე,
და შეზარხოშდა როდესაც კარგად
ადგა და შარას გაუდგა ისევ.
მიდის ბარბაცით და მიიმღერის
(ხანდისხან ღვინო კაცს მეტსაც გიზამს)
ქანაობს შარა, ღელავენ ველნი...
კიდევ ცოტა და მიაღწევს მიზანს.
და მართლაც თითქოს მოსჩანს რაღაცა,
აი სადგურიც... ბილეთიც ხელში...
ჩამოყენებულ მატარებელში
ჩვენი ანდრია მიძვრება ხვნეშით...

21

მეორე ღამეს თბილისში იყო...
იმის სიხარულს არ ჰქონდა ზღვარი;
და გაიპარა ერთი თვე ისე
ვით მოვარდნილი რამ ნიაღვარი.

. . . . . . . . . . . . . . . .

და ჩვენც ამაზე ვათავებთ ამბავს,
ნულარ ჩავყვებით ანდრიას კვალში...
მხოლოდ დავურთავთ, რომ ერთ საღამოს
წააჩინჩილეს იგი ჩეკაში.
გოჭოურაშიც ბევრი რამ მოხდა...
მტრებს უხარიათ, მაგრამ ადრეა;
გაივლის დრო და დაუბრუნდება
სამშობლო დაბას ჩვენი ანდრია!..

**ხინემბგო.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

როგორც სწეკი და თანაც
მდგომი ჩვენს პლატფორმაზე,
კარგი კაცია და ჩვენ
ვერ ვიტყვით ცუდსა მასზე.

ჰყავდა (და ეხლაც კი ჰყავს)
სამი შვილი და ცოლი.
ოჯახურ ცხოვრებაში
იმას არ ჰყავდა ტოლი.

უცოლოთ იგი ფეხსა
არსად არ გადადგამდა.
(წარმოიდგინეთ თქვენა,
— სადილსაც არა სჭამდა)

სახლიდან სამსახურში,
სამსახურიდან სახლში...
— ეს იყო ყველაფერი,
არ დადიოდა ხალხში.

ჯამაგირს არასოდეს
არ მოაკლდება კაპიკს.
(ჯამაგირს ღებულობდა
მხოლოდ **განაკვეთს რა ფიქსს**)

ყოფნიდა ყველაფერში,
ან რად უნდოდა მეტი?
სხვებსავით ხომ არ იყო
იგი ქალებში ცეტი!?

—:—

წელიწადს წელიწადი
მისთვის ამ გვარად სცვლიდა—
და იქნებოდა ასეც
რომ არ შეჰყროდა ლიდას...
აქ ორიოდე სიტყვით
გაგაცნოთ ესე ქალი,
რადგანაც იგი არის
ამ ამბის შესავალი.

—:—



და მელიტონსაც ასე
შეემთხვევა ერთ ბნელ ღამით.
როცა დაბრუნდა სახლში
მას ცოლი დახვდა სკამით.

და კართან ასავალზე
მელიტონს თავზე როფა;
თან უთხრა:—ხვალე კიდევ,
და დღეს კი ეს გეყოფა.

და თუ შევეხეთ დღეს აქ
ერთს უფროსს დამზღვევ კასის—
დეე, ეს ერთი იყოს
გამომხატველი ასის.

—:—

რა გავაგრძელო ბევრი,
ანდა რაღა ვსთქვა ცოტა
— მკითხველმა უკვე მკაცრი
წამომიყენა ნოტა,

— და მეც პირდაპირ ვიწყებ:
ვიცნობთ მელიტონს ბევრი;
ჩვიდმეტი წლიდან არის
იგი პარტიის *) წევრი.

*) ნუ ვიტყვით—თუ რომელის,
თავს რატომ უდოთ ხათა!?
ის გადაურჩა ჩეკას
და გავსცეთ ეხლა რათა?

# „ნალოგი მკვდრებზე“

ამ წინეებზე გაზეთებში ცნობა
იყო, რომ სასაფლაოზე გამოცხადე-
ბულია მიცვალებულთა რეგისტრა-
ცია, რაც შემდეგ „პანამა“ აღმოჩნდა.

ხელთ ჩაუვარდა ერთხელ
რაცაც გაზეთი პლატონს;
შემთხვევით მაგიდაზე
დავიწყებოდა პატრონს.

—:—

ცდუნება დიდი იყო,
კაცი არ გაჩნდა [illegible]ნელად...
მიაგდო ჩოთქი, ჩვარი,
და გაზეთს ეცა ხელად.

—:—

თან სავარძელშიც ჩაჯდა,
რითი სჯობია „ზავ“-ი,
და გაბრწყინვებულ სახით
ჩაჰყო გაზეთში თავი.

—:—

კითხულობს და უეცრად
წამოხტა, ვით ნაკბენი...
შორს სავარძელი, ჩოთქი...
და გარბის კარში რბენით.

—:—

გამოაცხადეს, თურმე,
რეგისტრაცია მკვდრების...
ვაი, თუ გვიან არის...
შიშისგან ენა ებმის.

—:—

დღესაა სწორედ თურმე
უკანასკნელი ვადა;
ცოცხლებთან ერთად ეხლა
მკვდრებიც დააწვა დარდათ

—:—

მიქრის, და უდგას თვალწინ
სურათი საშინელი...
ვინც იცის, იქ რა ხდება,
და ის კი ვერას შველის...

—:—

იქნება, ეხლა... ამ დროს...
(ტყუილად ხომ არ სწერენ)
საყვარელ ცოლის საფლავს
მიწასთანასწორებენ...

—:—

და ქვას, მოაჯირს, ჯვარსა
ინაწილებენ სხვები...
მან კი მათ დაახარჯა
ფულები ნასესხები!

—:—

და, ჰა.. მოვიდა ქშენით...
ხედავს, არ არის მარტო...
დაუჯდა ეს აღრიცხვა
სამი მანეთი პლატონს.

—:—

სამაგიეროდ წყნარი
ქონდა იმ ღამეს ძილი,
თუმცა „ნალოგი“ ცოტა
ეჩვენა თითქოს ძვირი.

—:—

გავიდა ხანი... გაზეთს
კითხულობს იგი კვალად,
და კვლავ დასრულდა კითხვა
ამ შემთხვევაში ავად.

—:—

ისევ ადუღდა ფიქრი
სამარხია, ჯვრებზე, ქვებზე..
მამაძაღლობა იყო
თურმე „ნალოგი“ მკვდრებზე!..

—:—

თქვა მწუხარებით:—ხედავთ,
მკვდრებსაც ქონია გემო...
ო, დაკარგულო უქმად,
სამო მანეთო ჩემო!..

**ხინტო.**

ალბად კვიმატი იყო
იგი დღეც, იგი წუთიც,
კვიმატი იყო ალბად
პირველის ოცდა ხუთიც—

როცა მეკარემ კრძალვით
მიმართა მელიტონსა:
„თქვენი ნახვა სურს ახლა
„ვიღაცა ქალბატონსა“,

— და როცა ამ დროს რიხით
შიგ შემოვიდა ქვრივი...
შვენოდა თალხი კაბა,
ყელზე გიშერის მძივი.

ეჰხ! რად უყურებთ იმ ქალს?!
ირხევა ლერწამივით;
რად გვინდა იშკილები,
რომ გაგვაცუროს ტივით!..

მოკლედ ვსთქვათ, რაც იქ მოხდა
(და ისიც ჩუმად ყურში):
ჩვენმა მელიტომ იგი
მიიღო სამსახურში.

უფროსი ასე სწერდა,
არ არის მისი ბრალი;
მელიტონს კარგად ვიცნობთ
— არ უყვარს მას სხვა ქალი.

ბრძანებას, დისციპლინას
აქვს დიდი განმავლობა;
უნდა დავიცოთ, თუ გინდ
ეს იყოს შვამავლობა.

—:—

გავიდა ხანი... მოჰყვა
კვლავ გაზაფხული ზამთარს.
იძრობენ ტანისამოსს
სიცივეს არაგამტარს.

ყველას ამშვენებს ეხლა
ტანისამოსი თეთრი;
ყველას აცვია კოხტად,
ენაც უფროა კვეთრი.



როს მესამე დღეს გვიან
მივიდა სამსახურში,
შეკრული ჰქონდა თავი
და არ ესმოდა ყურში.

ნაპოლეონის პოზით
უჩვენა თითით კარებს
და დაუმატა: აწ შენ
ახლოს არ გაგიკარებ.

და ლიდამც გაიხადა
სამგლოვიარო შავი.
სთქვა:—„კმარა რაც ვიგლოვე,
„ჯანდაბას მისი თავი.

„ქალი ვარ ახალგაზრდა,
„მეყოფა რაც ვიწვალე“...
და, მართლაც, შეიკერა
სამოსი გამჭირვალე.

—:—

ერთ დღეს (და ეს დღეც ალბად
იყო კვიმატი მგონი)
უკარნახებდა ლიდას
საბეჭდავს მელიტონი,

... და —ო, შემინდე ზეცავ,
გულ-მკერდში მოჰკრა თვალი...
მოსჩანდა ორი რამე
მწიფე ვაშლივით მრგვალი.

—:—

ვერაფერს ვიტყვი... ცოდვას
არ ვიდებ კიდევ თავსა,
მხოლოდ ვიცი და ვიტყვი,
რაც მოჰყვა ამ ამბავსა:

საღამოობით ხშირად
ბრუნდება სამსახურში;
იბარებს მემანქანეს
და უჩურჩულებს ყურში:

# „მათემათიკოსი“

ალი კული კოოპერატივის გამგეობის თავმჯდომარე იყო.

მას ებარა მთელი ქონება. მასვე ექვემდებარებოდა **შვიდი** რაიონი, რომლებსაც თვითონ აწვდიდა ცენტრიდან საქონელს.

ერთ მშვენიერ დღეს, როცა იგი ბაიათებს ღიღინებდა დახლში, მას მოულოდნელად მიუტანეს შემდეგი მოწერილობა:

გამოგზავნილია თქვენს სახელზე 28 ვაგონი კართოფილი. მიღებისთანავე გაანაწილეთ თანაბრად შ ვ ი დ ი ვ ე რაიონში. შემდეგი გვაცნობეთ.

ალი კული არ იყო მათემატიკის მეტად მოყვარული და გაჯავრებით წამოიძახა:

— ვა, შტოზა ლუდი ესტ ნა სვეტი?! ვსიო კული დელაი. აიდა, ფასილაიტ სამ და?! ზაჩემ ალი კული დოლჟნა ფასლატ?.. შტო, დოროლა ანი ნე ზნაიტ, ჩტოლი?—

მაგრამ რას გახდებოდა საყვედურით. საქონელი მიღებული იყო და, თანახმად მოწერილობისა, უნდა გაენაწილებია.

აილო გაჯავრებულმა ალი კულიმ სჩოტი და ფანქარი და შეუდგა ოცდარვა ვაგონ ქართოფილის შვიდ რაიონისათვის სწორ განაწილებას.

ალი კულიმ ანგარიში მხოლოდ ოცდაერთამდი იცოდა; შემდეგ კი იბნეოდა და ვერაფერი ვერ გამოჰყავდა.

ყოველივე ანგარიშს იგი ოცდაერთის სათვალავით გამოიყვანდა.

ასეც შეუდგა განაწილებას.

— ზნაშით, მი დოლჟნა ბუდიტ რასჟდაიმ ტაკ: დვასიტ ვოსიმ ნა სიმ ბუდიტ=ტირი..

და ალი კული ასე სწერს:

```
 28 | 7
 21 | 3
----
  7.
```

სიმ ნა სიმ ბუდიტ=ადინ

```
7 | 7
  | 1
```

```
ზნაშიტ. 28 | 7
        21 | 31
        ---
         7
        -7
        ---
         0
```

ზნაჩიტ, კაჟდი დუხან პოლუჩაიტ ტრისიტ ადინ ვაგონ...

ერთი შეფიქრიანდა ალი კული: როგორ-ვლებულობ ოცდა რვა ვაგონს და უნდა გაუნაწილო შვიდ კოოპერატივს? როგორ უწევს თვითეულს ამოდენიო.

— აიდა, პრავერკა ბუდიმ, ფაჟალიუსტა—და ალიმ დაიწყო შემოწმება:

— შტობი პოლუჩიტ აპიატ დვასიტ ვოსიმ, ნუჟნი ტრისიტ ადინ უმნაჟაი ნა სიმ... ეტო ბუდიტ

```
 31
×  7
----
   7
+ 21
----
  28
```

ზნაშიტ პრავილნა..



მაგრამ ამბავი ესე
დასრულდა დიდ ქუჩაში:
გამგის ცოლი და ლიდა
ერთმანეთს ეცენ თმაში.

„ო. ლიდა, ლიდა“... მაგრამ
ნუ უშლით მიჯნურთ ხელსა;
თუ შეგვამჩნია—ვხედავთ,
— ვერ მოეხვევა ყელსა.

—:—

ემატა ხარჯი... მაგრამ
ძველია ჯამაგირი.
კაცს ეხლა უნდა შველა,
დაადგა გასაჭირი.

ჯამაგირი ხომ უნდა
ცოლს მიუტანოს მთელად,
თორემ წახდება საქმე,
მიხვდება ცოლი ხელად.

გამოიგონა ხერხი,
მიაგნო ბოლოს ხვრელი:
**ზედ-მეტი ხამუშაო**
ყოველ მხრი ხელსაყრელი.

გიყვარდეს ბევრი ფული
და დროს ტარება ტკბილად.
შუაღამის ორ საათზე
ბაღებში ყოფნა წყვილად.

მაგრამ არ სძინავს დუშმანს
და გითვალთვალებს კვალში;
ყველაფერს ეტყვის შენს ცოლს,
ჩაგაგდებს ცეცხლის ალში.

—:—

და მელიტონსაც ასე
შეემთხევა ერთ ბნელ ღამით...
როცა დაბრუნდა სახლში
მას ცოლი დახვდა სკამით.

და კართან ასავალზე
მელიტონს თავზე როფა;
თან უთხრა:—ხვალე კიდევ,
და დღეს კი ეს გეყოფა—

რომ მესამე დღეს გვიან
მივიდა სამსახურში,
შეკრული ჰქონდა თავი
და არ ესმოდა ყურში.

შემოესია ყველა,
ჰკითხავენ მიზეზს, ამბავს;
მაგრამ მელიტონ სიტყვას
ერთმანეთს ველარ აბამს.

შევიდა კაბინეტში,
დარეკა მაგრად ზარი
და მეკარესთან ერთად,
როცა გაიღო კარი,

— შევიდა ლიდა... გამგემ
მეკარე გაისტუმრა
და ძველებურად ლიდას
მან აღარ გაეხუმრა;

ნაპოლეონის პოზით
უჩვენა თითით კარებს
და დაუმატა: აწ შენ
ახლოს არ გაგიკარებ.

—:—

მაგრამ ამბავი ესე
დასრულდა დიდ ქუჩაში:
გამგის ცოლი და ლიდა
ერთმანეთს ეცენ თმაში.

და ამის შემდეგ... მაგრამ
რაც ვიცით ისიც კმარა.
ვისაც გსურთ—გაიცინეთ
და ვისაც არა—არა.

ჰინჰარი.

---

ალის სიხარულს საზღვარი არა აქვს. ამბობს:—ზნაშიტ—კაჟდი დუხან პოლიჩაიტ ტრისიტადინ ვაგონ ქართოშკა.

მაგრამ რაღაც ეშმაკსავით ჩაუძვრა ტვინში, ეჭვი ებადობა. გრეხს თავის ერთ ულვაშს, რომელიც ცხვირის ნესტოში შესულა თავისი ბოლოთი. (მეორე ულვაში ალის ბავშობიდანვე არ ამოსვლია).

— დავაი, ადინ ეშჩო პროვერკა. ფასმოტრიმ სკოლკა ბუდიტ: ნაფიშიმ სიმ რაზ ტრისიტადინ; ბუდიმ სლაჟიტ:

31
31
31
31
31
31
31
7
+21
28... პრავილნა ზნაშიტ. კაჟდი რაიონ ბუდიტ პოლუშიტ ტრისიტ ადინ ვაგონ ქარტოშკა...

ალი კული წამოდგა, ჯიბეში ხელები ჩაიდო და გაიარ-გამოიარა.

მოაგონდა—შედეგი უნდა ეცნობებინა უფროსისათვის

აიღო და დასწერა:

— შესტ იმეი დონოსით, ჩშთო მი დვასიტ ვოსიმ ქართოშკა სდელალი დლია სიმ დუხან. კაჟდი პოლუჩაიტ ტრისიტადინ ვაგონ ქართოშკა.

გამგე: **ალი კული.**

ალი კული დარწმუნებული იყო, რომ წარჩინებას მიიღებდა იმისათვის, რომ: მან ოცდარვა ვაგონი ქართოფილი გაუნაწილა შვიდ სავაჭროს და თითეულს მიაკუთვნა ოცდათერთმეტი ვაგონი.

ცხადია, ამისათვის მართლაც საჩუქარი და წარჩინება უნდა მიეღო და კიდეც ელოდა დღითი დღე.

რამოდენიმე დღის შემდეგ ღებულობს ცენტრიდან დეპეშას. იგი დარწმუნებული იყო, რომ ამ დეპეშით მას ულოცავდენ სახალხო კომისრობას.

მაგრამ, ვაი უბედურებას. შიგ ეწერა „როგორც სრულიად უცოდინარი და უვარგისი, ალი კული დაუყონებლივ მოხსნილ იქნას თანამდებობიდან“.

ნიანგის ცრემლები გადმოაღვარღვალა ალი კულიმ სიმწარისაგან.

მისი ცალი ულვაში, თითქოს ნორჩ ღეროსავით დაჭკნაო, ქვევით ჩამოეშო.

— ვაა... ეთო ნაზივაიცა სპასიბა?! ზა მაი ეშაჩი რაბოტა, თაკოი სპასიბა?... იახში!... ია ქართოშკა ნე ბუდიმ პასლაიტ. სიჩას ასთავკა ბუდიმ დავათ—

მაგრამ ამ დროს უკვე მოვიდა ცენტრიდან კაცი და ალი კული გაისტუმრა სამუდამოთ.

გერა.



# ანტიტარტაროზული

„ჩვენს შრომის სკოლებში სახელმწიფოს ხარჯზე მოზარდთაობას სალვთო რჯულს ასწავლიან, ღმერთზე ჩასჩიჩინებენ, ღვთის შიში და მის წინაშე ძრწოლაში ზრდიან".

(გაზეთებიდან).




გამომცემლობა „გიჟის მერანი"*.

* სახალხო კომისარიატთან არსებულ სამეცნიერო საბჭოს მიერ ეს წიგნი ნება დართულია (ოქმი 1923 წ. 12 ივლისს, № 89).

## „გიჟის მერანი"

მირბის ძუნძულით შუკა-შუკა ჩემი ჯახრიკა
და იქ მიმიყვანს, თუ კი გზაზე ფეხი არ ფშიკა.
უკან მომდევენ გაბრაზებით კომსომოლები...
გასწი, ჯახრიკავ, შენ ძუნძულში არ გყავს ტოლები.

მაქვს გამძლეობა და მოთმენა საუკუნეთა.
რაა გამდევნონ და მოვაკლდე მე მორწმუნეთა...
ღმერთი მოხუცი დავმარცხდები ვიცი ბრძოლაში;
გასწი, ჯახრიკავ, შემიყვანე შრომის სკოლაში.

მოხეტიალეს არსად აქვს თავშესაფარი
და იწეწება ქარის ფრებზე ჩემი ფაფარი.
დაეპატრონა ეკლესიებს კომსომოლები
და გამოდევნეს: მონაზონი, ღვდელი, მონები.

გასწი ჯახრიკავ, შენს ძუნძულსა არ აქვს საზღვარი...
ახალგაზრდებში არ იზრდება ისევ მოძღვარი.
სად ფეხი წაჰკრა-მოიტეხე შენ იქ კისერი...
გასწი, შენ საგლევ, ახლოს არის მაღლობი, სერი.

# შეთქმულება

## ჩხირკედელაობა

ჩვენ ვიცოდით, რომ დამარცხებული და ამ ქვეყნიდან განდევნილი ღმერთი თავისი წმიდანებით, კიდევ არ გაიტეხდა იხტიბარს და ჩვენს წინაამდეგ დაიწყებდა ჩხირკედელაობას.

## დასაყრდომი ბაზისი

ჯერ კიდევ ტარტაროზინტერნის დაარსებამდე, ჩვენში მორწმუნეთა რაოდენობა მეტად განსაზღვრული იყო. ზეციური პარტია ეყრდნობოდა მხოლოდ მოხუცმებულების კადრს და მცირეწლოვანებს, რომლებსაც ბებიები—ბაბუები უნერგავდენ ღმერთის და ზეცის სიყვარულს.

## დაპირდაპირება

ჩვენი მიზანი იყო (და არის) ახალგაზრდობის დაპყრობა და „ურწმუნოებად“ გაზრდა. მოხუცებულებზე, ამ მხრივ ჩვენ არ ვზრუნავთ, რადგან მათ უკვე მოკრული აქვთ და საიქიოში ღმერთთან საგარაკოდ წასვლას აპირებენ.

ჩვენ გულახდილად და სიხარულით ვეუბნებით:—გზაც იქით ჰქონიათ; მშვიდობიანი იყოს თქვენი მგზავრობა.

აი, ამმათვის მართლაც ტრაგიკულ მდგომარეობას, ღმერთი კარგათ ხედავდა.

ამიტომ ზეციური პარტიული კომიტეტი შეუდგა მუშაობას.

რათა გამოენახათ რაიმე საშუალებები ასეთ მდგომარეობიდან თავის დასახსნელად.



## „გიჟის მერანი“

ღმერთი „გიჟის მერანზე“ მჯდომი შევარდენსავით შევარდა შრომის სკოლაში ბავშების დასაპყრობად.

ღმერთი (გინდენბურგზე არა ნაკლები სტრატეგი) სწორ გზას დაადგა. თუ კი მოზარდ თაობას იგი მოიმხრობდა, უზრუნველყოფილი იყო გამარჯვება მომავალში,

მასწავლებლობამ (ვერ მიხვდა თუ არ მიხვდა) ნეიტრალიტეტი დაიცო, თუმცა ტარტაროზის რომ არ შინებოდა, ღმერთის მხარეზე გადავიდოდა...

მაგრამ

## დასრულდა კომედია

ღმერთი და ყველა წმიდანები სატარტაროზოდან სამუდამოდ განდევნილია.

## „ა მ ა ლ ლ ე ბ ა“

ხუთშაბათს, 28 ამა თვეს ტარტაროზმა შეიპყრო საფლავიდან გამოპარული მაცხოვარი (ღმერთის საიდუმლო აგენტი) და იმავე დღეს ააგზავნა საიქიოს.

ეს მაინც ასე მოხდებოდა. თვით მამა ღმერთი, როცა ხედავდა ასეთ მდგომარეობას სააქაოში, დარწმუნდა, რომ ქრისტეს არა ლეგალური მუშაობა საფლავიდან გამოპარვის შემდეგ, ვერაფერ ნაყოფს მოუტანდა ზეცას და ქრისტეს ასე გადმოსძახა ზეციდან:

— მაქ მაინც არავის უნდიხარ, ყველამ დაგივიწყა და სჯობია აქ დაბრუნდე.

ქრისტემაც შეასრულა ღმერთის ბრძანება და ამაღლდა ზეცისკენ, საიდანაც იგი აწ ვერასოდეს ვერ დაბრუნდება.

როკო.

# პატის გრჭყალოსანი

## აქა ამბავი შრომის სკოლისა და პრინცესა ნადეჟდასი

ფილოსოფოსნი შემოკრბენ, ამაზე ჰქონდათ ცილობა:
იმერთა ცოდნა სჯობია, თუ ქართლის ქალთა ზრდილობა,—
თიანეთური მუშტები, თუ გურულთ გულახდილობა,—
ადრე გათხოვა ქალისა, თუ ბებრის ქალიშვილობა.

—

იყო ავლაბარს პრინცესა, ქალი ღვთისაგან სვიანი.
გამგეთ ნაკურთხი, კაპასი, უხვი და ბარაქიანი.
იმისი ნახვით ჰქნებოდა მინდვრად ვარდი და იანი...
—აწ გახსენება დედოფლის, მგონი არ არ არის გვიანი.

—

მისებრ მაღალი კულტურის სხვა ყველა მონაგონია.
მისი ფარული ტრფობითა, იწვის მღვდელ-დიაკონია.
მალე თინათინს აჯობებს, თუ მოემატა ქონია.
რა გამგეობა ხელთ იგდო—თავი ბისმარკი ჰგონია.

—

შენ კარგად იცი, ტარტაროზ, რომ დროა სულ სხვა გვარია.
რა საჭიროა ღრიალი, მეფური საუბარია,
—რომ მომავალი თაობა, გაფრინდეს როგორც ქარია—
ამის მიზეზი ის არის, რომ გამგეს არ ჰყავს ქმარია.

—

ხამს ნადეჟდა ნიკოლოზის, რომ ვარგოდეს გზა დახიდად;
ხელში როზგი რომ ეჭიროს და ურტყამდეს ყველას მშვიდად;
თუ კაცს ორად ვერ-რა გახლეჩ, ის გააპობს უცებ შვიდად
—და ამიტომც ჩვენს ნადეჟდას თავი მოაქვს მეტად დიდად.

—

ნახეს ვინმე უცხო ქალი, ჯდა მეფურად სკოლის ძირსა;
ნახშირივით შავი გული ამშვენებდა ნაზ ნარცისსა.
ხშირად ერჭო კოხტა თავზე ორი პალო ხარის რქისა,
როზგსაც ბავში დაერთვილა, პრინცესისგან განაწირსა.

## აქა ამბავი პრინცესის და მღვდელ ანთიმოზის დაქორწინებისა

ვახ! შენ სკოლავ, რაშიგან ხარ, რას მაბრუნებ, რა ზნე გჭირსა?
სად გა ჩენ ჩემსა ქმარსა, სად გამიშლი გულის ლილსა,
უქმარო ვარ, შემიბრალე... დღე და ღამე გული სტირსა...
მაგრამ ღმერთი არ გამწირავს, ქალსა ქმრისგან განაწირსა.

—

დიდსა პატარას, ყველასა კვლავ ქმარი შეეძინების
და მე კი მარად უქმრობა, ვაგლახ რომ მომეწყინების
ღმერთო, როდის-ღა მიშველი, ან როდის გამეცინების?!
როდის იქნება ტრფობისა ოფლი რომ დამედინების.

—

ავლაბარშია გამართეს ქორწილი უდიადესი
სუფრას არ აკლდა კატის რძეც, მწვანილი მინდვრად ნათესი.
არ დარჩენილა იმ დღესა არც მცხეთა, არცა ზაგესი—
რომ არ ენახათ ჰიკჰიკი პრინცესის მწველი ბაგესი.

—

მასწავლებლებიც შემოკრბენ, ამაზედ ჰქონდათ დარდია:
—თუ როდის მოვა ანთიმოზ, მღვდელი ცქვიტი და მარდია,
რომ მხურვალ გულზე მიიკრას ტუჩშელებილი ნადია,
რომ არ დააკლდეს ქორწილსა, არც ძიძა, არცა გადია.

—

მასწავლებელთა სიხარულს აღარ აქვს აწ საზღვარია:
—რა დღე მოესწრათ: აღარ ჰყავთ გამგეთ კაპასი ვარია.
გაბედნიერდა პრინცესა—იპოვა კარგი ქმარია.
მეც იბრწყინვალებს... აწ სკოლას ელირსა კარგი დარია.

ტარტაროზის კუდი.

# გურულ-სცენა

— კაცო, გინახავს ამისანა? ქვეყანა გადაირია და იგია.

— რა იყო კაცო, რა მოხდა. ოზურგეთში ხომ არ ყოფილხარ?

— ოზურგეთი აწი რაღათ მინდა, ყველა ამბავს ჩემს კერიეს ძირში გევიგებ.

ჰო-და იგი მოხდა, რომე—ამას წინათ საცხა სოფიო არის, იქანე აფეთქება მოუხდენიათ და მთელი სახელმწიფო კალამ განადგურებულა.

— რაო კაცო... სოფიო ჩემს ცოლს ქვია და ქვეყანასაც თუ ეთქვა

— აღარ მეგონა. აწე ქე მაინც ჩემს სოფიოს უფრო მივერიდები.

უყურე შენ? სოფიო დიდი რამე ყოფილა და მე კი ხაპად არ ვაგდებდი... მერე იგი მითხარი,—ხომ აფერი მარცხი მომხდარა?

— რავა აბდალსავით მეკითხები! მარცხი იქნებოდა, აბა რა იქნებოდა!?

— არა, ძმაო, მაი რაცხა კურკუაძიაა, ისეა რაცხა აწეწილი, რომ—რაცხანია ბოლშენიკები იქაც გადმოატრიალებენ ძირს —და მამის სული ნუ წამიწყდება, ძალიანაც გამიხარდა.

მამაძაღლები, თავის ოჯახის საქმე ვერ მოუწყვიან და ბოლშენიკებს ეჩხირკედელავებიან...

— გამარჯობა თქვენი—გაგიმარჯოს...

ბიჭო ვისია ამდენი ხიბაკი ზრუგით რომ მიათრევ?

— შვილი და რძალი მესტუმრა ქალაქიდან და ვეშჩი მიმაქვს.

— ბედნიერი კაცი ხარ; მოგესწრა ცოლიანი შვილი, მარა, აი ვეფერი კაი კაცობაა, რომ მოხუცი კაცი, ასე გაუმწარებიხარ.

— რას იზამ, ძმაო, წელიწადში ერთი თვით ჩამოვა სახლში და მაშინაც თუ არ ვეცი პატივი, მერე სულ არ იზამს პირს სოფლისაკენ.

— ასე პატივმცემელი თუ იქნება, ქიჯობია შენთვის, რომ მართლაც არცაროის გესტუმრებოდეს. კაია შენ ნუ მომიკვდე: ზაფხულში ყაძახს ქალაქში დასცხება —და მაშინ მოაგონდება დედ-მამა.

კიჭი-კიჭი.



# ვილჰელმის ულვაშები



ჰინდენბურგის არჩევამდე



არჩევის შემდეგ

## მცირე სიტყვა
### დიდ გასაჭირის შესახებ

მოდის ზაფხული ქამი მწარე,
სამგლოვიარო
და გთხოვთ, ტარტაროზ, ერთხელ ჩვენთან
შემოიარო,
რომ გასაჭირი სტუდენტების
გაიზიარო,
და რაც იხილო, ის საქვეყნოდ
სულ აღიარო.

—:—

პირველად, როცა გაშორდები
შესავალ კარებს,
ნახავ სტუდენტებს რაღაცაზედ
მწარმოუზარებს;
ქალი და ვაჟი ყველა სტირის,
ყველა მღელვარებს;
„ოჰხ! ღმერთო ჩემო, ამდენ საგნებს
რა ჩააბარებს?!“

—:—

როდესაც შევალთ—გადავავლოთ
მარჯვნივ თვალთა,
ვნახავთ: ამჟამად პაპიროზს სწევს
ოთხი ქალია;
არვინ იფიქროს—ვინმე მათში
ეშხით თვრალია...
ეს ყველაფერი გამოცდების
დარდის ბრალია.

—:—

ლექციის კითხვა მოისმინო,
გინდა იქნება!?
ნუ აჩქარდები—მოისვენე,
თუ გეძინება,
როცა მუნ მოხვალ, გვიან მოსვლის
ნუ გეფიქრება,
კედლის საათით რვა საათი
მაინც იქნება.

—;—

როდესაც შეხვალ—ხედავ სურათს,
თვალწარმტაცია:
პროფესორი ხსნის, ლექციაზე
ოთხი კაცია.
შენ არ გეგონოს—ვინც არ დადის
ის ზარმაცია!
სუყველა მოვა, როს იქნება რეგისტრაცია.

მკითხავ:—დარბაზი რომ დაცალეს
დღეს საარაკოდ?
ყველაფერს გეტყვი, [illegible]
უფათერაკოთ,
რომ სტუდენტობა (გთხოვ არ გახდეს
სალაპარაკოდ)
სასაფლაოზე გახიზნულა
საავარაკოთ.

—:—

თუ ლექციების დატოვება
მოგვესურვება,
ჩვენც იქ მივდივართ, სადაც სხვები
მიეშურება;
მაგრამ დროებით სამკითხველოს
უნდა ყურება;
(თუ დოლონიძე აღარ ვნახეთ
დაგვემდურება)

—:—

სხვა საქმეებიც, რომ გაგაცნო
გაგიხარდება;
წესრიგი ისე, როგორც სხვაგან
აქაც მყარდება.
პედაგოგიურ ფაკულტეტის
საქმეც გვარდება.
ხუთმეტ საგანში, ვატყობ მხოლოდ
ერთი ბარდება.

ღარიბი.



## პორტფელი

სულ პორტფელზე ვოცნებობდი: ღამე, დღე, სამსახურში, დასვენების დროს თვალწინ მხოლოდ პორტფელი მელანდებოდა.

მართალია, ბევრი არაფერი სამსახურია ჩემი სამსახური (მეკარე გახლავართ ერთ-ერთ დაწესებულებაში), მაგრამ რაკი თავში შემიჯდა პორტფელის ყიდვის სურვილი, გადავწყვიტე მისი სისრულეში მოყვანა.

ჩემ ისედაც მცირე ჯამაგირს ყოველთვიურად ვაკლებდი თითო მანეთს და თიხის ყულაბაში ვინახავდი პორტფელის საყიდლად, მაგრამ იმდენათ გრძელი ვადა იყო ეს თხუთმეტი თვე, რომლის განმავლობაშიაც უნდა მომეგროვეაია 15 მანეთი პორტფელისათვის, რომ თითქმის დღეში ათჯერ გადმოვაყირავებდი ხოლმე—იქნებ რამე შეემატა მოლას ქოთანივით მეთქი. მაგრამ წყეული მანეთიანები იმდენი იყო, რამდენიც ჩავაგდე.

როცა ჩემი დაწყებული საქმე ჩემ ცუგრუმელა ანეტას (მრეცხავია—ჩემი სახლის პირდაპირ ცხოვრობს) გაუზიარე, იგი სიხარულით ყელზე ჩამომეკიდა და თავის მხრივაც დამპირდა რაიმე წვლილის შემოტანას.

მაგრამ დაპირება, როგორც ყოველთვის, დაპირებათ დარჩა და ჩემ ყულაბას ანეტასაგან კაპიკიც არ მიუღია.

ყოველ ჩემს საყვედურზე ის დამშვიდებით მომიგებდა ხოლმე:

მე კი არა, ხშირათ მთავრობაც ვერ ასრულებს თავის დაპირებას, და მე რომ ვერ შევასრულო—რა დიდი საქმეაო.

ანეტა ყოველ დღე დადიოდა ჩემთან და თითქმის მეასედ გადამითვლიდა ხოლმე ფულს.

— უჰ! როდის უნდა მოგროვდეს? ჯერ მხოლოდ ოთხი მანეთია შიგ?

— ჩქარა, ძლიერ ჩქარა, ძემო ჩიტუნი (თუმცა უფრო დათვს ჰგავდა, ვიდრე ჩიტუნის) ისე ჩქარა გაივლის ეს თერთმეტი თვე, რომ ვერც კი გავიგებთ.

— აპრილი, მაისი, თიბათვე (დაიწყებდა თითებზე ჩამოთვლას) მარტში იქნება...

რა კარგი დროა... ყოველთვის ხომ თან ატარებ პორტფელს?

— რასაკვირველია? მაშ თავს როგორ დავანებებ?

— მერე ზაქსშიაც შევივლით, ჯვარს დავიწერთ...

— რა თქმა უნდა, შენი ბრალია, რომ ჯვარი აქამდეც არ დავიწერეთ.

— მე არ მინდა უპორტფელო ქმარი, მარუსიას ქმარი პორტფელით უნდა დაბრძანდებოდეს, და ჩემი კი არა?! ვითომ რითი გვჯობნიან ასინი?.



ჩემი ანეტა გამალებული უკანვე მირბოდა და იქვე ახლოს ჩემ ფეხებთან ჩემი მოწმობები ეყარა.

— არაფრით! აი, მეც ვიყიდი და მეც მექნება.

— უჰ, ნეტა ხვალ მარტი გათენდებოდეს—ამოიოხრებდა ანეტა და ხელმეორედ შეუდგებოდა თვეების თვლას.

— მეც მივილებდი თუ არა ჯამაგირს, ერთმანეთს წინდაწინვე ცალკე ჩავადებდი და ანეტას თანადასწრებით დიდი ზეიმით, ტაშის კვრით და ალტაცებული კივილით ჩავაცალებდი ყულაბაში. შემდეგ ცალკ-ცალკე გავსინჯავდით ამ ყულაბას, შევამოწმებდით ხელით წონას და კედელზედ გაუსვამდი კიდევ ერთ ხაზს, რომელთა რიცხვმა ცამეტი თვის შემდეგ ცამეტამდე მიაღწია.

— ანეტა, მომიხდება პორტფელი?—ვკითხავდი მე.

— მაშ არა და მარუსიას ქმარს თავბუაძეს უხდება. ხეირიანათ მაინც იცოდეს ხელში დაჭერა. ხანდახან თავდაყირა უჭირავს.

— მეც რომ ისე დავიჭირო რას მიზამ? შევეკითხებოდი.

— დაგტოვებ.

ეს სიტყვები ისე მკვახედ იყო წამოსროლილი, რომ გულმა ერთ ვერშოკზე აიწია ბუდიდან, მაგრამ მალე წინანდელ ადგილს დაუბრუნდა.

— ნეტა ჩქარა მოვიდეს ეს დრო? ამბობდა ანეტა.

— ორი თვეც, ორი თვეც და შენ პორტფელიანის ცოლი იქმნები.

გავიდა ორი თვეც. უკანასკნელი მანეთიანი ჩაუშვი ყულაბაში. უკანასკნელი ხაზი გაუსვი კედელზედ და დიდი სიფრთხილითაც გავტეხე ყულაბა. ხელმეორედ გადავთვალე. სრული ხუთმეტი მანეთი იყო.

გადავწყვიტე ჩუმად მეყიდა პორტფელი და მოულოდნელად ვსტუმრებოდი პორტფელით ჩემს ანეტას.

დიდ ხანს ვეხეტიალე სალდათის ბაზარზე. ავათვალიერ-ჩავათვალიერე ამერიკული ძველმანები, მაგრამ... როგორც სჩანდა ამერიკაში პორტფელები არა ცვდებიან. უბრალო პორტმონეც ვერა ვნახე...

ის იყო დალონებულ-დაძმარებული, ლონემიხდილი სახლისკენ ვბრუნდებოდი, რომ იქვე კუთხეში თვალი მოეკარი დაგლეჯილ ფეხსაცმელებით მოვაჭრეს.

ამოვარჩიე ერთი გახუნებული პორტფელი.

— რა ღირს?—ვეკითხები გულის კანკალით.

— სხვისთვის ჩვიდმეტი მანეთი, შენთვის კი ხუთმეტი მანეთი.

— აი, ძმა-კაცი!—გავიფიქრე გულში—ჯერ უცნობი ვარ, ორ მანეთს მხოთრობს და როდესაც გავეცნობი, ხომ თავსაც შემომწირავს!. შევევაჭრო? არა, სირცხვილია... მან ხომ პირველადვე ორი მანეთი დამიკლო, და რაღაზედ უნდა ვეყბედო? მით უმეტეს, რომ ფასი ისეა ჩემ ჯიბეზთან გამოჭრილი, თითქოს ამ ახალმა ძმაკაცმა წინდაწინვე იცოდა წვალებით მოგროვილ ფულის რაოდენობა.

დაუთვალე ხუთმეტი მანეთი და უკან მოუხედავათ ანეტას სახლისკენ გავსწიე. ანეტა მეორე სართულში სცხოვრობდა. ვეებერთელა ტაშტი აევსო სარეცხით და გამალებული რეცხავდა. ჩემი იქ მისვლა ვერც კი შეამჩნია.

— რა კარგ დროს მოვედი? ვნახოთ, ხმას არ ამოვიღებ და მიცნობს თუ არა?

ვშლი პორტფელს, თითქოს რაღაცას ვეძებ, თან ერთი თვალით მალლა ვიცქირები, მაგრამ ანეტა ყურადღებასაც არ მაქცევს. უცბათ ასწია ტაშტი და, გადახტომაც ველარ მოვასწარი, მთელი ნარეცხი წყალი მე და ჩემს პორტფელს გადაგვასხა ზემოდან.

თვალები დამიბნელდა. მომესმა ანეტას აკივლება—და მძიმედ დავეშვი იქვე.

შემიყვანა თავის ოთახში როცა გონს მოვედი, დავინახე: ანეტა გამალებული დასტრიალებდა ჩემ პორტფელს; ისე გაეკრიალებინა ერბოთი, რომ ჩვენი დაწესებულების გამგის პორტფელსაც კი სჯობდა.

— ჩემი პორტფელი—ოდნავ ამოვიკვნესე და თვალი მივხუჭე. მხოლოდ ახლა მოვაგონდი ანეტას. მოვიდა, ხელი მომავლო და მომეხვია. პორტფელი უფრო უკეთესად მეჩვენებოდა. ველარ მოვითმინე და გულიანად გადავკოცნე ჩემი ანეტა.

უკვე სალამო იყო, როცა სახლში დავბრუნდი პორტფელით ხელში. ჯერ კიდევ ყურში მესმოდა ანეტას სიტყვები. „არ დაგავიწყდეს—პორტფელი ფანჯარაზედ დადე. ქონას სუნს ამელამდელი ნიავი მთლად გააცლის. ხვალ დილით გამოგივლი და ერთად წავიდეთ ზაქსში. ამალამ მოწმობებს დავამზადებ“.

მეც ასე მოვიქეცი. ფანჯრის გარე თაროზე დავდევი ჩემი პორტფელი.

სახლში საცვლები აღარ მქონდა გამოსაცვლელად. პერანგის მაგივრად ხალათი ჩავიცვი და მეც ასე იოლად დავიძინე.

მეორე დღეს, როცა გამომეღვიძა, მაშინვე მივვარდი პორტფელის სანახავად, მაგრამ, ვაიშავო დღეო, პორტფელი იქ აღარ დამხვდა. თავზარდაცემული გავვარდი გარედ დ დავინახე: თბილისის ყველა ძაღლებს მოეყარათ თავი და ჩემი პორტფელის ნაფლეთებს ინაწილებდენ. შორი ახლო წამოსკუპებულიყო კატა დ თითებს ილოკავდა. მაშინვე მივხვდი, რომ ეს მისი ოინი იქნებოდა, რადგან ძაღლები იქ ვერ შემოსწვდებოდენ.

გამოვიდევნე დამნაშავენი კატას დასასჯელად, მაგრამ იგი უშიშრათ გაემართა სახლის სახურავისკენ.

დამავიწყდა სად ვიმყოფებოდი; გადავწყვიტე ერთ-ერთ დამნაშავეთაგანის ხელში ჩაგდება და სასტიკად დასჯა; მაგრამ ვერც ერთს ვერ მოვავლე ხელი.

— ფუ-ფუ-ფუ-ფუ... თვალებზე ხელებით, არ შეხედოთ... არ დაინახოთ—ეუბნებოდენ ერთმანეთს ქალები და ყველა გვერდ შექცევით მიდიოდენ.

— ვააა... ეს ადამი ხომ არ არის?—მცინოდენ კინტოები.

ზურგში დარტყმა და შეფურთხება ვიგრძენი, მოვიხედე, დავინახე:

ჩემი ანეტა გამალებული უკანვე მირბოდა და იქვე ახლოს ჩემ ფეხებთან ჩემი მომობები ეყარა.

საიდლანაც სამი მილიციონერი გამოჩნდა. ისინი პირდაპირ ჩემსკენ გამოეშურენ.

მე მხოლოდ მაშინ მოვედი გონს, როცა შემიყვანეს შეშლილთა სახლში.

ორი დღის შემდეგ, როცა ექიმებმა მინახულეს, მე მათ დაუმტკიცე ჩემი ჭკვიანობა და გამომწერეს შეშლილთა სახლიდან.

ყველა ეს სიკეთე პორტფელმა მიყო*)

იბი.

---

პორტფელის სიყვარულმა ხშირად იცის ასეთი ბედნიერება. ტ.



# „სლუჩი საქმე“

ჩემი დაბადების მეტრიკა დაიქცეს, რაღა! თუ ასე უბედური დავიბადებოდი, სულ არ მეგონა. ჩემს თავზე კალო არ გალეწილა, თორემ სხვა ყველაფერი გადამხდენია. მაგრამ ეხლა რომ სლუჩი საქმე დამემართა, ამნაირი ჯერ არ მომსვლია, რაღა!

ჯერ იყო და—დუქანი დავკეტე; ამას თქვენც გაიგებდით. რისთვის დავკეტე,—ისიც გეკოდინებათ. მაგრამ ზოგი კლიაუზნიკები გამოსულან და იძახიან: ტიგრანა გაკოტრდაო. . კაკოი ჩორტ ეტო ნი პრავდა.

ეხლა თქვენ რა დაგიმალოთ, სულ დამაშრები ხართ. ნალოგებს ვერ გაუძელ, ნალოგებს... ეს კიდევ ნიჩავო, პუსტიაკი რამეა. საქმე იმაშია, რომა—შიგ კრიჭაში კრასნია სტოლოვოი გამიღეს.. მოდი და შენ იქ დადექი; იქ ფულს მოიგებ?! მოდი და შენ კრასნი სტოლოვოიას კონკურენცია გაუწიე. მუშტრები სულ დამიფრთხეს, რაღა. ჩემი თვალით როგორ უნდა უყურო, როცა ჩემი მუშტრები იქ დაიარებიან. ეხ! მახლას, აქ ყურს არავინ გვიგდებდეს და კუტუზკაში არ მიმაბრძანონ.

მუშკორია თუ რაღაც—აი გაზეთებში რო გვაგდებენ—იმის თავი მომცა ხელში სოფლის ორლობეში სადმე, იმათ ოინებია მე რომ დუქანი დავკეტე!

კაცო, ბევრ ღვინოს ნუ ასმევო ხალხს ნუ ათრობო.

ფულის მოგება თვრალ ხალხშია; მაშინ, იმათი სული ჩემ ხელშია. მაშ ფხიზელ კაცს შენ მოატყუებ?! კაკოი ჩორტ, კაპიკსაც ვერ მოატყუებ, მაშ!

წადი და ეხლა ივაჭრე, რამეს გახდები.

მეც ამისთვის დავკეტე რაღა. ეჰ! მახლას, რას იზამ, ცუდათ ყოფნაც მომწყინდა. აგერ ორი თვე იქნება ჩემი ჯიბიდან რასხოდი გადის, დახოდი კი გროში ნიეტ. რა ვქნა არ ვიცი? ლამის თავ'ში პარალიჩი მომივიდეს.

ერთ დღეს ვიფიქრე: გულს გავართობ მეთქი, ჩემს ძმა კაცს ვანკა რუსს ვსთხოვე ბადე და წაველ სათევზაოთ მუშტაიდის ბოლოში.

ბადე რომ გადავაგდე—ერთიც ვნახოთ, სრაზუმ გამოვწიე: რაღაც მძიმეთ მეჩვენა, ვნახოთ და რას ნახავ—ვიღასაც ბავშვი წყალში ჩაუგდია და ჩემ ბადეს არ მოხდა! ვაა, ხელში ავიყვანე, კუკლა რამ იყო, გუნებაში ბევრი ვიგინე—თუ ჯადასავდებათ გინდოდათ მეთქი, რაღათ აკეთებდით მეთქი! ამასობაში ვნახოთ: ვიღაცებმა იქვე არ დამიჭირეს. მიყვირიან, ლამის მეც ბავშვისავით წყალში გადამაგდონ. აჰ ტი სკატინა, კაკ ტი სმეიშ რებიონკა კურა ბრასაიშ.

ბევრი ვიფიცე, სუპ კარაპეტი, თელეთი, მაგრამ უღმერთო ხალხთან ფიცი გაგივა?

მტაცეს ხელი, ბავშიან ბადიანათ პრიამათ კამისარიატში წამიყვანეს. გაჩაღდა ერთი პრატაკოლების წერა, დავიდარაბა. გუნებაში ვიძახი: ახია... რა შენი საქმეა, შე ყურუმსაღო, თევზაობა.

ჩემი აპრავდანიას იმედი სულ ჩემ მეზობლებისაგან მაქვს; იმათ ხომ იციან, რომა ჩემი ცოლი ორსულად არ იყო. დაიბარეს ჩემი მეზობლებიც, მაგრამ უყურეთ ამათ კლიუზნიკობას—ჩვენ რა ვიცით მაგის ცოლი ორსულად იყო თუ არაო, ჩვენ ხომ იმის მუცელში არ ვიჯექითო.

იმ ბავშვის დამარხვა მე დამაკისრეს, იძახიან—კიდევ დიდი შტრაფი და ციხე არ აგცდებაო.

აწ სათევზაოთ კი არა, მოხარშული დოშის საყიდლათაც ბლარსად წაველ, სიყმის მზემ. გიჟი ვარ!? ეხლა თუ შტრაფს და კუტუზკას გადაურჩი, ჰკუა უჟე ბლომათა მაქვს ნასწავლი.

მიშა მეჯვრისხეველი

---

# „ჭკუის აცრა“

## „ლენინის კუთხე“

თუ ძმა ხარ ამიხსენი: „ლენინის კუთხე“ ხომ მართლაც კუთხეში უნდა ეწყობოდეს და არა მთელ ზალაში, როგორც ეს ჩვენს ადგილკომშია?

— რა ვიცი, ძმაო, ჩვენს ადგილკომს „ლენინის კუთხე“ არც ზალაში აქვს და არც ზალის კუთხეში.

ზურნა.

## „კანონის დამრღვევი“

ერთი ახალგაზრდა თავის დასახრჩობათ ხიდიდან მტკვარში გადავარდა, მაგრამ გადაარჩინეს და კომისარიატში შეიყვანეს.

კომისარმა ჟურნალში მოათავსა.

— მე ჩემს თავს ვახრჩობდი, თქვენი რა საქმეა?

— თქვენ კანონი დაარღვიეთ.

— რომელი კანონი?—

— განა არ იცით, რომ ალმასკომის მიერ, აკრძალულია მტკვარში ხიდიდან ნაგვის გადაყრა?!

თილიყამყამი.

# „ხელოვნება და ნიჭი“

**ხინამდვილე, რომელიც მოხდა ხოფ. ახ-ში.**

## მოქმედება პირველი

(სცენა წარმოადგენს გასათხოვარ ქალის ოთახს. მარუსა დაღონებული ზის)

### გამოსვლა პირველი

**მარუსა.** ო, ნეტა როდის მოვა ჩემი ძვირფასი. (ისმის ძაღლის ყეფა)... ის არის. (შემოდის მარუსას ძვირფასი ვასო)

### გამოსვლა მეორე

**ვასო.** ძლივს არ დავაღწიე თავი ამ თქვენს ვერანა ძაღლს. (იოსება ოთხზედ ამდგარ მოფართხავს, შემოსდევს ვასოს ყეფით)

### გამოსვლა მესამე

**იოსება.** (დადის ხელ-ფეხზე) აუ... აუ. .აუ..

**სუფლიორი.** (ყველას გასაგონათ) გაეთრიე აქედან შე მართლა ძაღლო. (იოსება ახლა მიხვდა, რომ სცენაზე არ უნდა შემოსულიყო და უკან გადის ისევ ყეფით).

**ვასო.** (მარუსას) ხომ არ დაიგვიანე, ჩემო მტრედო?

**სუფლიორი.** (მარუსას აწვდის სიტყვას) ჩემო ძვირფასო...ეხვევა...

**მარუსა.** (იმეორებს) ჩემო ძვირფასო... ეხვევა (სუფლიორს) მითხარი ვის ვეხვევი?

**სუფლიორი.** (დაცინვით) ვის ეხვევი და შენს შეყვარებულს! აბა, მე მეხვევი შე გამოტვინებულო თუ?

**მარუსა** (ხალხისაკენ ატირებული) მე აღარ ვითამაშებ,—სუფლიორმა შეურაცყოფა მომაყენა. (გადის სცენიდან).

### გამოსვლა მეოთხე

**სუფლიორი.** (ამოხტება სცენაზე და მიმართავს ხალხს) პატივცემულო მოქალაქენო, მან რომ როლი არ იცოდეს, ჩემი რა ბრალია? მე ვაწვდი სიტყვებს, ვეუბნები: „ჩემო ძვირფასო... ეხვევა!! იგი ვერ იმეორებს და მეკითხება: „ვის ვეხვევი?“ განა ამისთანა სიტუტუცე გაგონილა სადმე? მესი მიჯნური სცენაზეა და მე მეკითხება:—ვის ვეხვევიო.

ფ ა რ დ ა

## მოქმედება მეორე

სცენა წარმოადგენს ოთახს, რადგან სცენის მოყვარენი არა ჰყავთ, ბატონის და მსახურის როლს ასრულებს ხატო.

### გამოსვლა პირველი

**მსახური.** ვაჰხ! რა ოხერია ეს ჩემი ბატონი. წავა და ორი დღე დაიკარგება სადმე. მესამე დღეს მთვრალი და გალეშილი მოვა. (ისმის კულისებიდან ფეხის ხმა) გავიდე აქედან, თორემ მოვა ჩემი ბატონი და მაგრად დამიზელს გვერდებს (გადის. სცენა ცარიელი რჩება.. სუფლიორი ყვირის: „ბატონი... გამოეთრიე, შე ოხერო“. ხატოს, რომელიც ეხლა მსახურის როლს ასრულებდა და გახდილი აქვს ფეხზე, რეჟისორი გაჯავრებული ჰკრავს ხელს და სცენაზე გამოაგდებს).

### გამოსვლა მეორე

**ხატო.** (ბატონის როლში) ვაჰ, თქვენ ოხრებო, ასეთ ტანთსაცმელში და ასე ჩაღლეტილი შეიძლება ბატონის როლში გამოსვლა?!.. მე ვერ ვითამაშებ. (გადის).

### გამოსვლა მესამე

**რეჟისორი.** (შემოდის) პატივცემულო საზოგადოებავ, წარმოდგენა გადადებულია.

კიმო-კიმი.






## „იშვიათი სტუმარი“

(ეპისკოპოსი ნესტორის მგზავრობა გურიაში)

ოზურგეთის სადგურში ბლომადაა უსაქმო ხალხი. (ყოველთვის ასეა მატარებლის მოსვლის დროს) ადგილობრივი მღვდელი იონაც აქაა.

ყველაზე უფრო მას ეტყობა სიხარული და ამის გამო ცოტა მღელვარებაც. თურმე ეპისკოპოსს ელოდება!

აგერ ჩამოდგა მატარებელი და ერთ ვაგონიდან გამოჩნდა **იშვიათი სტუმარი**.

— იყოს უფლის კურთხევა შენზედა... ღვთისა და ჩემი მადლი შეგეწიოს შენ, სულიერო მამაო იონა... შენ, რომელმაც აანთე ჩამქრალი სანთლები მოდინახეს და ექადიის ეკლესიებში.

მღვდელი მოკრძალებით ეამბორა ეპისკოპოსის ხელს.

— ეტლი არა გყავს, მამაო იონა?—შეეკითხა ეპისკოპოსი მღვდელს

— ავტომობილს ინებებს იქნებ?! მიართვით, არ აწყენინოთ. თუ გინდ ძაღლი კუდით მია რევდეს—ეპისკოპოსია მაინც—წამოიძახა ვიღაცამ და მხიარული სიცილით გააცილეს „იშვიათი სტუმარი“ თავისი ამ.ლით.

—:—

ნესტორი ესტუმრა შემოქმედის მონასტერს, სადაც მორწმუნეთა და მართლმადიდებელთა მრევლს მოელოდა, მაგრამ მოლოდინი არ გაუმართლდა: მხოლოდ რამოდენიმე მოხუცი დახვდა. ცხადია, ამათთვის აღარ ღირდა წირვის გაგრძელება და ნესტორმაც მალე ჩააგარგალა იგი.

იყო დრო, როცა ნესტორს დიდი პატივისცემით ხვდებოდენ ადგილობრივი სოფლელები, მაგრამ ეხლა ხალხი ისე „გაირყვნა“, რომ უბრალო სადილზეც არ მიუპატიჟებიათ ეს „იშვიათი სტუმარი“.

იქნებ, მართლაც სიმშილით გული წაუვიდოდა ნესტორს, რომ მოხუც მღვდელს პარმენს (რომელიც არა თუ სასულიერო პირთან, არამედ ყველასთან ქებულია თავისი პურმარილით), არ მიეპატიჟებია თავის სახლში.

— ძმა ძმისთვის შავი დღისთვის... ისევ ჩვენ თუ გაუწოდებთ ერთმანეთს ხელს, თორემ სხვა არავინ არის ჩვენი შემბრალებელი—ასე დაახასიათა ნესტორმა სამღვდელოების დღევანდელი მდგომარეობა.

ამ სიტყვებში მადლობაც იყო, რომელსაც იგი პარმენს უძღვნიდა სადილის ჭამისათვის და საყვედურიც.

— რაღაი, ჩვენო მეუფე! კალმახი უნდა მქონებოდა, მარა, ხომ იცით, ეხლა სხვა დროა—მოიბოდიშა მასპინძელმა.

—:—

აქედან ეპისკოპოსი დვაბზუში გაემგზავრა.

გიორგობა იყო.

წმ. გიოგის ეკლესიის ეზოში შეკრებილიყვნენ მორწმუნენი და „იშვიათი სტუმარს“ ელოდებოდენ. როგორც კი გამოჩნდა ნესტორი, მგალობელთა გუნდმა მღვდელ ნესტორ კონტრიძის ხელმძღვანელობით დასძახა საგალობელი.

— მოავლინე ღვთის კურთხევა, უფალო ეპისკოპოსო, მოახდინეთ თქვენი და ღმერთის სასწაული და მოიყვანე წვიმა! გვალვა გვანადგურებს, ყანები დაუთესი რჩება, სიმშილი მოგველის—შეევედრენ მორწმუნენი „იშვიათ სტუმარს“ დვაბზუში.

ეპისკოპოს ნესტორმა შეხედა მოკამკამე ლურჯ ცას, აღარ იყო წვიმის მოსვლის იმედი, მაგრამ საჭირო იყო უიმედობისაგან გამოსვლა.

— მორწმუნენო, გვალვა ესე მოვლინებულია მამა ზეციერის მიერ დასასჯელად ქვეყნისა, რამეთუ სოფელი „გაირყვნა“ და ავად ეპყრობა სახლსა ღვთისასა ეკლესიასა და მის მსახურთა ჩვენთა.

აბა სად არის სარწმუნოება და პატივცემა ღვთისა. დღეს, დღეობას წმიდა გიორგისასა, აქ ჩემთვის მთელ სოფელს უნდა მოეჭქონდეს ძღვენი მრავალი. მაგრამ არა თუ ესე არ იქნების აქ, არამედ სადილსაც ვერ ვსჭამ, თუ მამაო თადეოზმა სახლში არ წამიყვანა. ნუ გაიტეხთ გულს... დიდ არს სახელი უფლისა... იმედითა და მოთმინებითა შეხვიდეთ სასუფეველსა ქრისტესა აწ სამარამდის და უფსკრულამდე... ამინ—ასე მიმართა ნესტორმა დვაბზუელ მორწმუნეთ.

შემდეგ ადგილობრივ „მოღვაწეთა“ თხოვნით, ნესტორმა წირვა და ლოცვა გადაიხადა ცხემლის-ხიდიდან დვაბზუში თემის გადმოტანის სასარგებლოდ.

თადეოზისას*) ეპისკოპოსმა გვარიან მაგრად მოიმაგრა კუჭი, როცა ღვინო ზემო სართულში ავიდა, მან ცრემლიანი სიტყვებით მიმართა სუფრაზე შემომწკრივებულ მღვდლებს:

— მორწმუნენო, ჩვენი საქმე გლახად მიდის. ახლო ხანში ჩვენ სულ არავინ აღარ გვეყოლება თანამგრძნობი.

მოხუცთა ის მცირე რიცხვი, რომელსაც დღეს ემყარება მთელი სამღვდელოება, ახლო ხანში აღარ გვეყოლება ჩვენ, რადგან ყველანი გადასახლდებიან საიქიოს. აი, სწორედ მაშინ დადგება ჩვენი განკითხვის ჟამი. მაგრამ, ყველაფერი შეუძლია ზეცას... შეიძლება დროება სავსებით შეიცვალოს. ხალხი გონს მოვიდეს და ჩვენი მდგომარეობაც გამოსწორდეს. გამაგრდით... ღმერთის ძლიერებაში იჭვი არავის შეგეპაროს... დიდ არს იგი. ბევრმა გაიკრიჭა და ამით დაამტკიცა თავიანთი ურწმუნოება. სამაგიეროთ ღმერთი იქ მოსთხოვს მათ პასუხს...

ვანო (თადეოსას სიძეა) ისმენდა მღვდლების საუბარს და ქვეშ-ქვეშ იცინოდა. ოდესმე მორწმუნე ვანო, ვანო ეკლესიის მსახური, ეხლა ეშმაკის მოციქული გამხდარა და ღმერთს სასაცილოთ იგდებს.

როცა ეპისკოპოსმა სიტყვა დაასრულა, მან ნელი ხმით დაიწყო მრავალჟამიერ. შეზარხოშებული მღვდლები აჰყვენ და მხოლოდ მაშინ გაიგეს, რომ თვითონ მღეროდენ, როცა სიმღერა გათავდა და ვანომ ფართეთ გადიხარხარა.

— დასწყევლოს ღმერთმა ეშმაკი... თუ შეგიჩნდა, აუცილებლად შეგაცდენს—გადაულაპარაკა ეპისკოპოსმა იონას და ეს უკანასკნელიც დაეთანხმა.

— სამ-ოთხჯერ გამოვძეხი, ესეც ხეირია—ასე ფიქრობდა ოზურგეთიდან მიმავალი „იშვიათი სტუმარი“.

**ტოქსინი.**

*) ტარტაროზის ბიძაა.

---

## ბათომი

(ქრონიკები)

**ბინა.** ბინის შოვნის უფლება ყველა მოქალაქეს აქვს განურჩევლად ეროვნებისა, სქესისა და წლოვანებისა, მაგრამ არა მდგომარეობისა.

უკანასკნელი საშუალებით ბინის შოვნა ადვილია, მხოლოდ ჯიბე უნდა ჰქონდეს მსხვილი სპეკულიანტის.

სამაგიეროდ ძალიან იაფად იძლევა ბინებს კომუნალური განყოფილება. საჭიროა მხოლოდ: სამასი განცხადება, სამი წლის ცდა, ორმოცდაცხრამეტი ბინის აღმოჩენა, ყველა აგენტების გაცნობა და დამეგობრება.

**კულტურული მუშაობა.** თვითმკვლელობის გახშირებამ რომანიულ ნიადაგზე, დასცა პურის ფასი. მოსალოდნელია მეთორნეების გაკოტრება.

**„ჭორი“.** დ. კ. მიერ ქალის მოტაცების შესახებ გავრცელდა ხმები მთელ ქალაქში, რის შემდეგაც მოტაცებული ქალი საიმედო ბინაზე გადაიყვანეს.

**„ღვთისმშობელი“** ერთ ასულს, რაღაც სასწაულით, ცოცხალი არსება შეეპარა მუცელში. ამბობენ, ალბად მეორე მაცხოვარი იქნებაო, რადგან მოახლოვებულია მეორე მოსვლის დროო.

**ბლიკვი.**



რა ხდება ფოთის ქუჩებში.

## ფოთი

მოულოდნელად მოხდა ძაღლთა აჯანყება. მილიციამ მიიღო სასწრაფო და მკაცრი ზომები აჯანყების ჩასაქრობად.

ძაღლების მიერ დაკბენილია მხოლოდ ერთი მშვიდობიანი მცხოვრები.

აჯანყებულების მხრივ მსხვერპლი ბევრია: მოკლულია 50-დე ძაღლი.

შთაბეჭდილების მოსახდენად მოკლულ ძაღლების ლეშს ქუჩებიდან არ მიაქვთ. მთელი ფოთი აშმორებულია ლეშთა საზარელი სუნით.

თუმცა ნათქვამია: ძაღლი ვინც მოჰკლა, მანვე გადაათრიოსო—მაგრამ აქაური მილიცია ამ თქმულებას ყურადღებას არ აქცევს.

**ხინა.**

## სურამი

აქ მძვინვარებს სპეკობის სენი, რომელმაც ეპიდემიური ხასიათი მიიღო და ისიც ადგილობრივ ეპოში. მიზეზი სენის გავრცელებისა უნდა იყოს (როგორც ამბობენ) ეპოს თავმჯდომარე, რომელსაც შეუძლია თავისი თილისმური ძალით სპეცი გააარასპეცოს, ხოლო არასპეცი-გაასპეცოს. *)

## თელავი

სამი წელიწადია აშენებენ თელავის აბანოს შენობას, მაგრამ არ იქნა მისი დასრულება, რადგან სურამის ციხესავით ყოველთვის ინგრევა, რასაც აბრალებენ მასალის უვარგისობას.

განზრახულია წიტაიშვილი ზურაბსავით კედლებში მოაქციონ და ამის შემდეგ შეიძლება აშენდეს ეს აბანო.

**ბაჩი-კაკა.**

*) თუ კი ასეთი სასწაულმომქმედი კაცია, გამომგვიგზავნეთ ცენტრში.

**ტ.**

## ქ უ თ ა ი ს ი
### (ქრონიკები)

**ვირთხები.** ფოსტა-ტელეგრაფის განყოფილებაში გაჩნდა ვეებერთელა ვირთხები, რომლებიც ამანათებს ხსნიან და ანადგურებენ.

**სასიხარულო მოვლენა.** როგორც იქნა გვეღირსა ბედნიერება და აგვისრულდა გულის წადილი: დასრულდა სათეატრო სეზონი, რომელმაც ქუთაისის ალმასკომს შესძინა 30.000 მანეთი დეფიციტი.

20 მაისიდან დრამატიულმა წრემ „პირი სოფლისაკენ“ იბრუნა გასტროლებზე.

? გრძელდება კოპალეიშვილის მიერ ქალების „დევნა“. ჯერ არავინ იცის:—ქალები ატყუილებენ მას, თუ იგი ქალებს ატყუილებს.

**დასვენება.** დაღლილი გამგეები, რომლებიც მთელი დღე მუშაობენ და წარმოებას სწევენ (თავისკენ), საღამოდან დილამდე ალავიძის სასადილოში ისვენებენ.

**მუყაითები.** აქაური ახალგაზრდობა (როგორც ქალები, ისე ვაჟები) დილიდან საღამომდე განაგრძობენ ქვაფენილების ტკეპნას.

სასწავლებლებში მხოლოდ კვირა-უქმე დღეებში დადიან.

**ურჩი.**

## ბლუპნათ...

**ნიგვზიანელ იუმორისტებს**

სხვის თვალში ბეწვს ხადავთ,
პაწაწა, მცირესა
— და თქვენში ვერ ამჩნევთ
ადლიან დირესა.

—:—

ყოველ დღე, ყოველ ჟამს
გალობა ერთ ხმაზე,
ერთი და იგივე
ტარილზე, ჭამაზე...

—:—

რას ერჩით მიჯნურებს?!
დადუმდით, შეჩერდით.
(სხვას ჭკუა ასწავლოთ—
ისემც თქვენ აშენდით)

—:—

ან მეტი საწერი
ვერ ჰპოვეთ თქენა?!
გუშინ წინ არ იყო
აქ წარმოდგენა—

—:—

რომ მსახიობებმა
ვერ დასძრეს ენა
და ძლივს სუფლიორმა
ჩაატარა სცენა?

—:—

დილით აქ არ მოხდა
მუშტი-მკრივი-ბრძოლა,
გინება და ლანძღვა,
ბოთლ ჭიქების სროლა?

—:—

არის მასალები
სწერეთ ამ გვარებზე
კიდევ სხა მრავალი:
თუ ხართ თქვენ მართალი.

—:—

თორემ თუ ვაჟს უყვარს
მშვენიერი ქალი,
— ეს ამბავი ძველობს,
არ არის ახალი.

**გაწთ.**

## წერილი რედაქციის მიმართ

გთხოვთ გამოაცხადოთ, რომ თქვენი ჟურ. „ტარტაროზი“-ს № 10-ში მოთავსებული წერილი: „შენც სსს და მეც სსს“ ვიზინტისა, არ არის ჩემზე დაწერილი.

**თომა ხაბაშვილი.**

**რედაქციისაგან:** „ტარტაროზი“-ს რედაქცია აცხადებს, რომ ხსენებული წერილი არ არის დაწერილი მოქ. თ. საბაშვილზე.



ეროვნული ბიბლიოთეკა




ს. ს. მ. უ. ს. პოლიგრაფტრესტის 1-ლი სტამბა    თბილისი, პლეხანოვის პროსპ. № 91.